

1942 და 1943 წლების ქართული მუსიკის გრამფირფიტები გერმანული POLYDOR-ის ლეიბლით

1. შესავალი

ჩემი სტატიის სტრუქტურა ასეთია: ვინყებ გრამფირფიტების კრებულის აღწერას, რომელიც მოიცავს 1940-იანი წლების დასაწყისში ჩაწერილ მუსიკას საბჭოთა კავშირიდან. მათ შორის, ყურადღებას გავამახვილებ ათ გრამფირფიტაზე საქართველოდან. მოკლედ გეტყვით, როგორ მოხვდა ისინი ჩემს ხელში, მოგანვლით ინფორმაციას შემსრულებლებისა და ჩანაწერების, ასევე - Polydor Record Company-ის შესახებ; გაგაცნობთ გრამფირფიტების დამუშავებისა და გაციფრების ტექნიკურ დეტალებს. დასასრულს, აღვწერ ჩემი კვლევის ეტაპებს, რასაც მოჰყვება დასკვნები. დანართი შეიცავს მატრიცების ჩამონათვალს, ასევე ყველა საპასპორტო ინფორმაციას.

2014 წლის ოქტომბერში შევიძინე ვარდისფერი ყუთი (სურ. 1), რომელიც შეიცავდა დაახლოებით 85 გრამფირფიტას გერმანული ხმის ჩამწერი კომპანიის, Polydor-ის ლეიბლით, ბრუნვის სიჩქარით 78-რწ (78-rpm), გამოშვებულს 1942 და 1943 წლებში. ეს აშკარად კოლექციონერის საკუთრება იყო, როგორც ამას ხელით ნაბეჭდი 15-გვერდიანი კატალოგი მიუთითებდა. ყუთი 80 ევროდ ვიყიდე საკომისიო მაღაზიაში ლეიდენში, ნიდერლანდებში, ამიტომ, არ ვიცი, ვინ იყო მისი მფლობელი ან როგორ მოხვდა იქ. ცხადი იყო მხოლოდ ის, რომ კოლექცია „სახლის გასუფთავების“ შედეგი იყო. მე შემთხვევით გავიცანი ერთი კაცი საკომისიო მაღაზიიდან, რომელიც ცალკე ინახავდა, მისი აზრით, ჩემთვის საინტერესო ნივთებს. სწორედ ის აღმოჩნდა პასუხისმგებელი გრამფირფიტების გაყიდვაზე და მიხვდა, რომ მე დამაინტერესებდა ვარდისფერი ყუთის შიგთავსი.

78-rpm ფირფიტების შეგროვება 2005 წლიდან დავიწყე. ეს იყო, ძირითადად, ტრადიციული და/ან კაბარეს სტილის მუსიკის ჩანაწერები¹. ამგვარი ფირფიტების შოვნა შედარებით რთულია, რადგან ბუკინისტურ საიტებზე (მაგ. “Market Place”), Ebay-ზე ან საკომისიო მაღაზიებში ძირითადად კლასიკური მუსიკის ფირფიტებს გთავაზობენ, რაც მე არ მაინტერესებს. ზოგჯერ ვყიდულობ ფირფიტების დიდ პარტიებს, თუმცა, მათზე ჩაწერილი, ჩემთვის საინტერესო მასალა 5%-ს არ აღემატება.

¹ As producer and owner of Pan Records, a record company for ethnic and traditional music, collecting shellac 78-rpm discs became a kind of professional hobby. Some 78-rpm's in the collection with a common theme will eventually be released as CD.

ფირფიტები ვარდისფერი ყუთში ნეიტრალურ-ყავისფერ შეფუთვებში (რომელთა უმრავლესობა არ იყო Polydor-ის ორიგინალური შეფუთვა), დანომრილი იყო 1-დან 110-მდე, თუმცა ზოგი ნომერი აკლდა, ზოგი შეფუთვა კი ცარიელი იყო. ათეულობით ფირფიტას სხვადასხვაგვარი დაზიანება ჰქონდა: ნაკანრები, ბზარები, დეფორმაცია, რაც აშკარად წლების მანძილზე მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების შედეგი იყო. მათი მოსმენა შეუძლებელი იყო გასწორების გარეშე.

ფირფიტებს ახლავს კირილიცით ნაბეჭდი 15 გვერდიანი სია (სურ. 2ა, ბ) (“Каталог Граммофонных Пластинок”), შედგენილი, სავარაუდოდ, მათი პირველი მფლობელის მიერ, რომელიც, ჩემი აზრით, რუსი უნდა ყოფილიყო. სიაში ჩანაწერების ნუმერაცია ემთხვევა ყდებისას. ჩანაწერები დაყოფილია კატეგორიებად (რუსული ოპერები, რუსული რომანსები და კლასიკური მუსიკა. რუსული ხალხური სიმღერები - ვოკალური და ინსტრუმენტული, დონისა და თერგის კაზაკების სიმღერები, ბოშური, უკრაინული ოპერები და ოპერეტები, უკრაინული ხალხური სიმღერები, სომხური, ჩრდილოკავკასიური, თათრული, აზერბაიჯანული, თურქესტანული, ქართული სიმღერები), თუმცა, მთელი რეპერტუარი (ყოფილი) საბჭოთა კავშირიდანაა. კატალოგის სია და ინფორმაცია ფირფიტების ყდებზე არ არის თვით ფირფიტების ეტიკეტებზე განთავსებული გერმანული ტექსტის ზუსტი თარგმანი (სურ. 3), თუმცა შეიცავს რუსულენოვან ინფორმაციას და ჩაწერილი სიმღერების სათაურების თარგმანს. რუსული კატალოგი ძირითადად მიჰყვება ჩანაწერების ნუმერაციას, თუმცა, ხშირ შემთხვევაში აცდენილია Polydor-ის ეტიკეტების ნომრებს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს კოლექციის დახარისხებას.

2. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი

გერმანული არმიის უცხოური ლეგიონები: ჩანაწერთა წყაროები

კოლექციის გრამფირფიტების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცავს ნაცისტური გერმანიის არმიის სხვადასხვა ლეგიონის წევრთა ჩანაწერებს (სურ. 4ა,ბ,გ). აზერბაიჯანის ლეგიონი, თურქესტანის ლეგიონი, ქართული ლეგიონი, ვოლგა-თათრეთის ლეგიონი, ჩრდილოკავკასიის ლეგიონი და სხვები წარმოადგენდნენ ნაცისტური გერმანიის არმიის ქვედანაყოფებს, რომლებიც შედგებოდა აზერბაიჯანელების, თურქულენოვანი ხალხების (კერძოდ, ცენტრალური აზიის მუსულმანების - თურქმენების, უზბეკების, ყაზახების, ყარაყალპაყებისა და ტაჯიკების), ქართველების, ვოლგის თათრებისა და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეებისაგან. ეს ლეგიონები „აღმოსავლეთის კორპუსის“ (Ostlegionen) ნაწილი იყო და ხშირად სამხედრო ტყვეებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტზე, საკუთარი ნებით იბრძოდნენ სტალინის წინააღმდეგ. სწორედ მათ შორის არჩევდნენ ნიჭიერ მუსიკოსებს სტუდიური ჩაწერისთვის.

ქართული ლეგიონი ჩამოყალიბდა 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დასავლეთ ევროპაში გახიზნული ქართველი იმიგრანტებისგან, ასევე, ქართული წარმოშობის საბჭოთა ტყვეებისაგან, რომლებმაც გერმანიის მხარეს ბრძოლა არჩიეს ტყვეთა ბანაკების მძიმე პირობებში ცხოვრებას. მათი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანელი ნაცისტების ხელმძღვანელობით. ძირითადი ქართული ლეგიონი შეიქმნა 1941 წელს და საქმიანობას შეუდგა 1942 წლის შემოდგომაზე. მასში დაახლოებით 30 000 ქართველი მსახურობდა.

თავიდან ქართველები, სხვა საბჭოთა ნაციონალისტებთან შედარებით, გარკვეული უპირატესობით სარგებლობდნენ გერმანელების მხრიდან, რადგან მათ არიელებად მიიჩნევდნენ. თუმცა, დეზერტირობის სერიებისა და ჰიტლერის მზარდი პარანოიის გამო, ნაცისტების აზრი ქართველებზე უარესდებოდა. ჰიტლერი არ ენდობოდა ქართველებს, რადგან „ისინი იყვნენ არა თურქი ხალხი, არამედ ტიპური კავკასიური ტომები“. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია გახდა მას შემდეგ, რაც რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი, როგორც დეზერტირი, შეუერთდა მთელ ევროპაში გაშლილ, ადგილობრივ, წინააღმდეგობის მოძრაობას. ჰიტლერისა და სტალინის რეჟიმების არჩევანის წინაშე მყოფი ქართველი ლეგიონერების ბედი ხშირად ტრაგიკული იყო.

„აღმოსავლური ძალებისადმი“ ჰიტლერის უნდობლობის გამო, ზოგიერთი ქართული ბატალიონი გადაისროლეს დასავლეთში - ნიდერლანდებში - ოკუპაციური მისიის შესასრულებლად. როცა დასავლელი მოკავშირეები გერმანიაში შეიჭრნენ, ჰოლანდიურ კუნძულ ტექსელზე დისლოცირებული, 822-ე ქართული ბატალიონი ამხედრდა გერმანელების წინააღმდეგ. ამის შემდეგომი საომარი მოქმედებები ცნობილია, როგორც ქართველთა აჯანყება ტექსელში, რომელიც გაგრძელდა 1945 წლის 20 მაისამდე. რამდენიმე დღეში გერმანიამ ოფიციალური კაპიტულაცია გამოაცხადა. კუნძულ ტექსელზე არის სამხედრო სასაფლაო, სადაც მეორე მსოფლიო ომის ბოლო ბრძოლაში დაღუპული 500 ქართველი განისვენებს.

მართალია, ბევრი რამ არის ცნობილი გერმანიის არმიის უცხოური ლეგიონების შესახებ, მაგრამ ძალიან ცოტაა ინფორმაცია მათი მუსიკალური ჩანაწერების შესახებ Polydor-ის ლეიბლით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არ არის შემონახული არცერთი სააღრიცხვო წიგნაკი (კომპანიის ტრანზაქციების მონაცემთა აღრიცხვის სისტემა). ისინი, სავარაუდოდ, განადგურდა ბერლინის დაბომბვის დროს მოკავშირე ძალების მიერ 1943, 1944 და 1945 წლებში. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ჩანაწერები გაკეთდა ბერლინის Polydor-ის სტუდიაში, მისამართზე: Alte Jakobstrasse 32. კომპოზიტორი საშა ფონ სტოლბერგი, რომელიც სავარაუდოდ Polydor-ის თანამშრომელი იყო, ნახსენებია, როგორც კოლექციის რამდენიმე დისკის

ამწყობი. დისკოგრაფი ლოტცი, თამარა ჰაირანიანის დისკოგრაფიაში, ვებგვერდზე www.russian-records.com, ამბობს, რომ ამ პერიოდის Polydor-ის კატალოგები არ არსებობს.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხის მუსიკის ჩანერის მთავარი მიზეზი პროპაგანდა იყო. „Vineta“² - გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის ქვეგანყოფილება³, გამოსცემდა ბეჭდურ პროდუქციას და გრამოფონის ფირფიტებს 78რწ (სურ. 5) აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიებისათვის; ასევე, აკონტროლებდა თეატრალურ დასებს ამ ზონებში. 1942 და 1943 წლებში „Vineta“-მ სპონსორობა გაუწია გერმანულ ლეიბლებს Polydor და Deutsche Grammophon, რომ მათ გამოეცათ რუსული, უკრაინული და კაზაკური ხალხური სიმღერების, მართლმადიდებლური საეკლესიო მუსიკის, რუსული ოპერების ნაწყვეტებისა და პოპულარული საცეკვეო მუსიკის ჩანაწერები. ისინი არ იყო კომერციული და არც გერმანიის გრამფირფიტების კატალოგებში აღირიცხებოდა, არამედ გამოიყენებოდა პროპაგანდის სამინისტროს მიერ ოკუპირებულ აღმოსავლურ ტერიტორიებზე რადიოტრანსლირებისთვის (...). 1942 წლის ბოლოს „Vineta“-მ გააფართოვა თავისი ჰორიზონტი და მოიცვა რელიგიური და საოპერო მუსიკა (Зверева 2000: 11.8). დავამატებდი, რომ „Vineta“-ს სპონსორობა ეხებოდა სომხური, აზერბაიჯანული, ქართული, ყაზახური და თურქმენული (ტაჯიკური და უზბეკური) მუსიკის ჩანერასაც. ეს ცხადი ხდება ჩემ მიერ ზემოთხსენებული 15 გვერდიანი ხელნაწერი კატალოგიდან, რომელიც წარმოადგენს ამ სტატიის კვლევის საგანს.

3. არჩილ მეტრეველი

აPolydor-ის ფირფიტების ეტიკეტებზე მხოლოდ სამი სახელი აღნიშნული. ზემოხსენებული ამწყობი საშა ფონ სტოლბერგი ერთ-ერთი მათგანია. მეორე არის ა. დარიჯანიძე, როგორც ინსტრუმენტალისტი სოლისტი, სავარაუდოდ ბალალაიკაზე (ეტიკეტზე აღნიშნულია მანდოლინა) შემსრულებელი და ბოლოს, არჩილ მეტრეველი, როგორც ორკესტრის ხელმძღვანელი. დანარჩენ შემთხვევებში, ეტიკეტებზე სახელები ნეიტრალურია, მაგალითად, Chor (გუნდი), Ochester (ორკესტრი) ან Tenor (ტენორი). დარიჯანიძე და მეტრეველიც მოხსენიებულია 11853 A+b და 11854 A+b დისკების ეტიკეტებზე. დარიჯანიძეზე ინტერნეტში ვერაფერი ვიპოვე. არჩილ მეტრეველი (სურ. 6) კი

² The name Vineta is probably derived from the name of a mythical town that sunk in the Baltic Sea some 1000 years ago.

³ The "Reichsministerium für Volksaufklärung und Propaganda (RMVP)" (The Reich Ministry of Public Enlightenment and Propaganda), controlled the the press, literature, visual arts, film, theater, music, and radio in Nazi Germany. The Vineta Propagandadienst Ostraum e.V. (as it was officially called) had its offices at Münzstr. 12, Berlin C2. An e.V.(eingetragener Verein, registered association), is a legal status for a registered voluntary association in Germany.

ცნობილია, როგორც ქართველი მწერლების გამომცემელი და მთარგმნელი გერმანულ ენაზე 1932 წლიდან 1962 წლამდე.

მეტრეველი დაიბადა 1888 წლის 10 აპრილს თბილისში. 1910 წლისთვის ის გერმანიაში ჩავიდა, სადაც მთელი ცხოვრება დარჩა. 1920 წელს, როდესაც მექანიკური ინჟინერიის სტუდენტი იყო მიუნხენში (დაამთავრა 1923 წელს), დაქორწინდა ბავარიელ გოგონაზე (მისი მშობლების ნების საწინააღმდეგოდ), ჟიზელა (გიზა) ანტონია ემანუელე კალბსკოფზე (დაიბადა 1893 წელს და იცოცხლა 2005 წლამდე). მეტრეველი 1935-1944 წლებში ცხოვრობდა ბერლინში, 1944 წლის თებერვლიდან 1947 წლის აპრილამდე - ფეიხტვანგენში (სავარაუდოდ, მშრომელთა ბანაკში) და 1947 წლის აპრილიდან - მიუნხენში. 1935-1941 წლებში, მისივე სიტყვებით, იყო „გამომცემელი ქართულ ენაზე“. 1941 წლის მარტში მან მუშაობა დაიწყო გერმანიის მთავრობაში 1944 წლის თებერვლამდე. 1948 წელს არჩილ მეტრეველს მოიხსენიებდნენ „ლექტორად“ და „Dipl.-Ing. für Georgisch“-ად („ქართული ენის სერტიფიცირებული სპეციალისტი“), მიუნხენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მიუნხენის უნივერსიტეტის წლიურ ჟურნალში აღნიშნულია: არჩილ მეტრეველი ცხოვრობს აუგუსტენშტრასე 50/Ir-ში, მიუნხენის M2 რაიონში (სურ. 7). 1951 წელს ის ცხოვრობდა ომშტრასე 10-ში. მიუნხენის უნივერსიტეტის 1966-1967 წლების ჟურნალში არჩილ მეტრეველი მოხსენიებულია, როგორც გარდაცვლილი 25.1.1967. როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლომდე ის დაკავშირებული იყო უნივერსიტეტთან, როგორც „ქართული ენის სპეციალისტი“.

ვვარაუდობ, რომ ორკესტრის ხელმძღვანელი და გამომცემელი/მთარგმნელი/ლექტორი ერთი და იგივე პიროვნებაა. ნაცისტური დევნის საერთაშორისო ონლაინ რესურსცენტრში - აროლსენის არქივში, ნაპოვნია რამდენიმე დოკუმენტი არჩილ მეტრეველის შესახებ. მათ შორისაა 1951 წლის შეერთებულ შტატებში ემიგრაციის განაცხადი, რომელშიც მისი პასპორტის ფოტოა ჩაკრული (სურ. 8). ფაილის დეტალური შესწავლისა და გაკრული გერმანული ხელწერის გაშიფვრის მცდელობისას, ირკვევა, რომ მეტრეველი 1942-43 წლებში „გერმანიის ადმინისტრაციაში“ მუშაობდა, რაც შეიძლება ნიშნავდეს ბევრ რამეს, მათ შორის, Polydor-ის სტუდიაში მუშაობასაც (აუდიომაგ. 1, ფოტო 1).

4. გრამფირფიტების დამუშავება და გაციფრება.

როგორც აღვნიშნე, ბევრი ფირფიტა დეფორმირებული იყო და ჯერ უნდა გასწორებულიყო, რომ შემდეგ აგვეჟღერებინა. ამისათვის არსებობს ასეთი ხერხი: გაღუნული ფირფიტა უნდა მოათავსოთ მინის ზედაპირზე და დადოთ მზეზე (სურ.9). როცა ის დარბილდება და გასწორდება, ზემოდან კიდევ ერთი მინის ფირფიტა უნდა დაადოთ, მოაშოროთ მზიდან და გააგრილოთ.

მეორე ფირფიტას თუ არ გამოიყენებთ, შელაკის ფირფიტა გაციებისთანავე საწყის დეფორმაციას დაიბრუნებს. სამწუხაროდ, გაგრძელების პროცესში ფირფიტების 25 % **დასკდა სხვადასხვა მიმართულებით. ვფიქრობ, ისინი დიდი ხნის მანძილზე იყო დეფორმირებული და გაციების შემდეგ, ამ მდგომარეობის დაბრუნებას ცდილობდნენ, ამიტომაც დასკდნენ.**

თუმცა ამან ხელი არ შეუშალა მათ აჟღერებას. როცა მასალა გავაციფრეთ, ნემსის მოძრაობა დაზიანებულ ადგილებზე, გაისმა, როგორც წიკნიკი, რაც უცხო არ არის ამგვარი ჩანაწერების გაციფრებული ვერსიებისთვის. უმრავლეს შემთხვევაში, ეს წიკნიკი შესაძლებელია, მოიხსნას თანამედროვე სარედაქტირო პროგრამების გამოყენებით.

დეფორმირებული ფირფიტები გასწორდა 2015 წლის ზაფხულში და გაციფრდა შემოდგომაზე. გაციფრების პროცესი ამგვარია: ფირფიტების აჟღერება ხდება თანამედროვე ფირსაკრავზე, რომელსაც აქვს 78რწ, სასურველია Lenco L50 ან L75, ელიფსური ალმასის ნემსის მეშვეობით. მიღებული ციფრული ფაილი მუშავდება პროგრამის Steinberg Wavelab გამოყენებით, ერთიანი ჟღერადობის დარღვევის გარეშე.

თანამედროვე ალმასის ნემსის უპირატესობა ისაა, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია, პრაქტიკულად, უვადოდ, განსხვავებით ომამდელი ლითონის ან ფოლადის ნემსებისაგან, რომლებიც გამოუსადეგარი იყო ორი გამოყენების შემდეგ. ხშირი ხმარებისას ნემსი აზიანებს ფირფიტას. ამიტომაც ძველი ფირფიტების უმრავლესობა მონაცრისფრო და მათი მოსმენისას შიშინი და ტკაცუნი ისმის. მე ყოველთვის ვეძებ ფირფიტებს პრიალა ზედაპირით, რომლებსაც ან იშვიათად უკრავდნენ, ამ მზრუნველი პატრონი ხშირად ცვლიდა ნემსებს.

ვარდისფერი ყუთის მთელი კოლექცია გაციფრდა, თუმცა ჩანაწერებში კვლავ ისმის წიკნიკი და წრიპინი (აუდიომაგ. 2, ფოტო 2).

5. კვლევა, მეთოდოლოგია, დასკვნები

როცა Polydor-ის კოლექციის შესწავლა დავიწყე, ნალ-ნელა აღმოვაჩინე, რომ ის პრაქტიკულად უცნობია მუსიკოსებისა და არქივისტებისთვის, რომლებთანაც გავდიოდი კონსულტაციებს. მე დავუკავშირდის პეციალისტებს საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან, მაგრამ არცერთმა არაფერი იცოდა ამ ჩანაწერების შესახებ.

ერთადერთი საფუძველი მომავალი კვლევისთვის იყო ინფორმაცია „გრამოფონის ფირფიტების კატალოგიდან“ და ჩემ ხელთ არსებული ფირფიტების ეტიკეტებიდან. ეს ინფორმაცია ჩავუშვი ინტერნეტის საძებო სისტემაში. გამომართლა, რომ ეს კოლექცია ხელში ჩამოვარდა, იმიტომ, რომ ის არ აღმოჩნდა არც ინტერნეტში. როგორც ჩანს, ესაა ძალიან იშვიათი

კოლექცია, რომლის მოძიება, დისკოგრაფ რაინერ ლოტცის სიტყვებით, „შესაძლებელია მხოლოდ გერმანულ არქივებში“ (Зверева: 2020, II. 8).

ინფორმაცია, რაც ინტერნეტში მოვიძიე, ეხებოდა გერმანული არმიის უცხოურ ლეგიონებს, რომლის საფუძვლზეც დავწერე ამ სტატიის მეორე პარაგრაფი. ფირფიტების ეტიკეტებზე აღნიშნული რამდენიმე პიროვნების ძიების შედეგები მოცემულია მესამე პარაგრაფში.

ემგვარად, ჩვენ ხელთაა ომის პერიოდის გრამფირფიტების იშვიათი კოლექცია, რომლის შესახებ დღემდე არავის სმენია. იმედი მაქვს, ეს სტატია პირველი ბიძგი იქნება ამ კოლექციის მკვლევართა დაინტერესებისათვის. დროთა განმავლობაში, ვაპირებ, საჩუქრად გადავცე ეს ჩანაწერები იმ ქვეყნებს, რომელთა მუსიკაც აქ ჟღერს.

წყაროები

აროლსენის არქივები: https://collections.arolsen-archives.org/en/search/topic/3-2-1-1_32110000-218-221?s=ARTSCHIL%20METREWELI

აზერბაიჯანული ლეგიონი: https://en.wikipedia.org/wiki/Azerbaijani_Legion

ქართული სასაფლაო „ლოლაძე“ www.4en5mei.nl/oorlogsmonumenten/zoeken/1026/oudeschild-georgische-begraafplaats-loladse

ქართული ლეგიონი: [https://en.wikipedia.org/wiki/Georgian_Legion_\(1941-1945\)](https://en.wikipedia.org/wiki/Georgian_Legion_(1941-1945))

ლოტცი, რაინერ ე. თამარა აირანიანის დისკოგრაფია. www.russian-records.com, Нью-Йорк • Туркестанский легион: https://en.wikipedia.org/wiki/Turkestan_Legion

თურქესტანის ლეგიონი: https://en.wikipedia.org/wiki/Turkestan_Legion

უცნობი ავტორი. გრამოფონის ფირფიტების კატალოგი. ლეიდენი, 1950

ზვერევა, სვეტლანა. მუსიკა, კულტურა და ეკლესია გერმანიის მიერ ოკუპირებულ საბჭოთა კავშირში: სმოლენსკის მხარესა და სხვა პროვინციებში. წიგნმ: Fanning, David, and Levi, Erik (eds.), *The Routledge Handbook to Music under German Occupation, 1938-1945: Propaganda, Myth and Reality*, Ch. 8. Routledge, Abingdon and New York, 2020.

დანართი: ქართული მუსიკის ნუმერაცია და სათაურების სია Polydor-ის კოლექციაში

ქართული მუსიკის საერთო ხანგრძლივობა (20 ტრეკი) შეადგენს 50 სთ 20 წთ-ს. მათ შორის, 4სთ 35 წთ ინგუშეთის მუსიკაა. კატალოგში მოხსენიებული 2 ფირფიტა კოლექციას აკლდა. შესაძლოა, დროთა განმავლობაში

- დაზიანების გამო გადაყარეს. კატალოგში ისინი აღნიშნულია ნომრებით 106 (მხარე A: იანიანო, მხარე B: თამარქალო. ასრულებს „ქართული გუნდი“) და 101A (მხარე A: სულიკო, მხარე B: lekuri) „ცეკვა ოპერიდან „დაისი“ - კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, ასრულებს „ორკესტრი“).
- ქვემოთ მოტანილი სიის ყოველი ნიმუში იწყება Polydor-ის ეტიკეტის ნომრით; შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია შეფუთვის ნომერი, რომელიც შეესაბამება ხელნაწერი კატალოგის ნომერს; შემდეგ მოცემულია გამოცემის წელი, მატრიცის ნომერი, სახელწოდება გერმანულ ენაზე, როგორც მითითებულია ეტიკეტზე; **შემდეგ - კირილიცის ტექსტის ტრანსკრიპცია და ბოლოს, სიმღერის აღწერა და შემსრულებელი / შემსრულებლები გერმანულ ენაზე. საჭიროების შემთხვევაში, მოტანილია ინგლისური თარგმანები. გამოშვების წლის დადგენა მარტივია, რადგან Polydor მიუთითებდა მას ეტიკეტზე, მატრიცის ნომერთან ერთად.**
- ეს გახლავთ** გერმანული Polydor-ის ლეიბლით გამოცემული ქართული მუსიკის გრამფირფიტების რამდენიმე ნიმუში (სურ. 10a,b,c,d)
- Polydor 11816A (no. 107). 1942. Matrix no.: 9639–GR9
Meine Hütte. კირილიცის ტრანსკრიპცია: Moya Saklya (სავარაუდოდ, „ჩქიმ ჯარგვალს“ - რედ.). Georgisches Lied (Bearbeitung Sascha v. Stollberg). Kaukasischer Chor mit Orchester.
- Polydor 11816B (no. 107). 1942. Matrix no.: 9640–GR9
Gulnara. კირილიცის ტრანსკრიპცია: Gul'nara. Georgisches Lied (Bearbeitung Sascha v. Stollberg). Kaukasischer Chor mit Orchester.
- Polydor 11853A (no. 96). 1942. Matrix no.: 9685–GR9
Tschachochbili. კირილიცის ტრანსკრიპცია: Chakhokhbili. Tanz (“Tanetz”). Solist: A. Daridjanidze. Georgisches Mandolinen- und Gitarren-Orchester. Leitung: Artschil Metreweli.
- Polydor 11853B (no. 96). 1942. Matrix no.: 9686–GR9
Zizinathela. კირილიცის ტრანსკრიპცია: Tzitzinatela. Lied. Solist: A. Daridjanidze. Georgisches Mandolinen- und Gitarren-Orchester. Leitung: Artschil Metreweli.
- Polydor 11854A (no. 110). 1942. Matrix no.: 9687–GR9
Ketho da Kote. კირილიცის ტრანსკრიპცია: Keto Koto. Lied. Solist: A. Daridjanidze. Georgisches Mandolinen- und Gitarren-Orchester. Leitung: Artschil Metreweli.
- Polydor 11854B (no. 110). 1942. Matrix no.: 9688–GR9
Bagdaduri. Tanz. კირილიცის ტრანსკრიპცია: Bagdaduri. Gruzinskii Tanetz. Solist: A. Daridjanidze. Georgisches Mandolinen- und Gitarren-Orchester. Leitung: Artschil Metreweli.
- Polydor 11893A (no. 98). 1943. Matrix no.: 9775–GD9D
Dideba (Der Ruhm). კირილიცის ტრანსკრიპცია: Dideba. Georgische Hymne. Chor. Georgische Legion.

Polydor 11893B (no. 98). 1943. Matrix no.: 9776–GD9D

Samschoblo (Die Heimat). კირილიცის ტრანსკრიპცია: Samshoblo. Georgisches Lied. Chor. Georgische Legion.

Polydor 11894A (no. 97). 1943. Matrix no.: 9777–GD9D

Sissatura. Cyrillic transcription: Sizatura. Mingrelisches Wiegenlied. Chor. Georgische Legion.

Polydor 11894B (no. 97). 1943. Matrix no.: 9778–GD9D

Tchongura. კირილიცის ტრანსკრიპცია: Chongura. Kachetisches Volkslied. Tenor-Solo mit Chorbegleitung. Georgische Legion.

Polydor 11895A (no. 100). 1943. Matrix no.: 9779–GD9D

Tschuchtschuchit / Tschamorboda. Georgisches Volkslied. Chor. Georgische Legion.

Polydor 11895B (no. 100). 1943. Matrix no.: 9780–GD9D

Suliko. კირილიცის ტრანსკრიპცია: Suliko. Georgisches Volkslied. Chor. Georgische Legion.

Polydor 11896A (no. 101). 1943. Matrix no.: 9781–GD9D

Sabodisho. კირილიცის ტრანსკრიპცია: Sabodisho. Gurisches Volkslied. Chor. Georgische Legion.

Polydor 11896B (no. 101). 1943. Matrix no.: 9782–GD9D

Dajgwianes (Zu spät gekommen). კირილიცის ტრანსკრიპცია: Daigvianes. Tenor-Solo mit Chorbegleitung. Georgische Legion.

Polydor 11897A (no. 99). 1943. Matrix no.: 9783–GD9D

Abhasuri Sazekwawo (Abhasisches Tanzlied). კირილიცის ტრანსკრიპცია: Abkhazuri Satekvavo (Abkhazokii Tanetz). Chor. Georgische Legion.

Polydor 11897B (no. 99). 1943. Matrix no.: 9784–GD9D

Schairebi. Georgische Couplets. კირილიცის ტრანსკრიპცია: Shanrebi. Gruzinskii Chastushki. Duo mit Akkordeonbegleitung. Georgische Legion.

Polydor 11904A (no. 88). 1943. Matrix no.: 9798–GD9D

Moula Essali. კირილიცის ტრანსკრიპცია: Mulla i sali. Feiertagslied. Inguschen Chor. Nordkaukasische Legion.

Polydor 11904B (no. 88). 1943. Matrix no.: 9799–GD9D

Djala—Ertschena Nasym. კირილიცის ტრანსკრიპცია: Dealla erchena nazym. Lied des Heiligen Mohamed. Inguschen Chor. Nordkaukasische Legion.

Polydor 26005A (no. 103). წელი არ არის მითითებული, სავარაუდოდ, 1943. Matrix no.: 10207–GD9D

Samschoblo. კირილიცის ტრანსკრიპცია: Samshoblo. Chor.

Polydor 26005B (no. 103). წელი არ არის მითითებული, სავარაუდოდ, 1943. Matrix no.: 10208–GD9D

Georgischer Tanz. კირილიცის ტრანსკრიპცია: Gruzinskii Tanetz. Instrumental Solo.

ილუსტრაციები

ვარდისფერი ყუთი შელაკის ფირფიტების კოლექციით.

გრამოფონის ფირფიტების ხელნაწერი კატალოგის პირველი გვერდი.

კატალოგის ის გვერდი, სადაც აღნიშნულია ქართული სიმღერები.

კოლექციის შეფუთვის ნიმუში. დისკი # 91 Polydor-ის ორიგინალ შეფუთვაში.

a, ნ, ბ. ინფორმაცია აზერბაიჯანის, თურქესტანის და საქართველოს რეგიონების შესახებ Polydor-ის ეტიკეტებზე.

Vineta-ს დისკის ეტიკეტი (წყარო: www.russian-records.com).

არჩილ მეტრეველის პასპორტის ფოტო (1951, აროლსენის არქივი).

არჩილ მეტრეველი, მოხსენიებული მიუნხენის უნივერსიტეტის წლიურ ჟურნალში 1948 წელს.

a, ნ, ბ. არჩილ მეტრეველზე პირადი ინფორმაციის შემცველი ბარათები (1951, აროლსენის არქივი).

შუშის ფირფიტები 78რწ დისკებთან ერთად.

a, ბ, ც, რ. -ის ქართული მუსიკის ფირფიტების 4 ეტიკეტის ნიმუში (11816A; 11894B; 26005B; 11904A).

ფოტო 1. „ქეთო და კოტე“ ფოტოს ეტიკეტი.

ფოტო 2: „დაიგვიანეს“ ფოტოს ეტიკეტი.

აუდიომაგალითი #1: Polydor 11854A. „ქეთო და კოტე“. დარიჯანიძე (სოლისტი), ქართული მანდოლინისა და გიტარის ორკესტრი არჩილ მეტრეველის ხელმძღვანელობით. 2:50. **აუდიომაგალითი #2:** Polydor 11896B. „დაიგვიანეს“. ტენორის სოლო ქართული ლეგიონის გუნდის აკომპანემენტით. 2:26.